საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2016 წლის 28 ნოემბრის სხდომის

ოქმი №4

თბილისი, 28 ნოემბერი, 2016 წ.

სხდომა დაიწყო 10.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბოძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა ძნელაძე;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონღულაშვილი;
- მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – ვასილ მშვენიერაძე;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;
- სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტ „ევროპული აკადემიის“ პროფესორი – პოლიკარპე (თემურ) მონიავა;

– სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭკადუა.

კომისიის სხდომაზე მოწვეული გახლდათ საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:

– ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 10:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;

2. საქართველოს მთავარი პროკურორის, ბატონი ირაკლი შოთაძის, ანგარიშის მოსმენა პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ („პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-8^1 მუხლის შესაბამისად);

3. სამომავლო გეგმები.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დღეს საპროკურორო საბჭო შეიკრიბა, რათა მოისმინოს მთავარი პროკურორის ანგარიში, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი. მისი აღნიშვნით, ანგარიშის მოსმენის შემდეგ შესაძლებელია პროკურატურის ორგანოებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ კითხვების დასმა და დისკუსიის გამართვა, ოღონდ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რა უფლებამოსილებაც აქვს საბჭოს კანონის თანახმად. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, რათა მას წარმოედგინა ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურორი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ანგარიში მოიცავს როგორც ბოლო 6-თვიანი საქმიანობის პერიოდს, ისე მანამდელი პერიოდის მიმოხილვას. ბატონი ირაკლი შოთაძის განცხადებით, საქართველოს პროკურატურაში აქტიურად გრძელდებოდა რეფორმების პროცესი; შემუშავდა პროკურატურის სტრატეგია; დასრულდა პროკურორთა შეფასების სისტემის მუშაობის პირველი ეტაპი; მრავალი ნაბიჯი გადაიდგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში; დამკვიდრდა პროკურატურის მუშაკთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, დაწინაურებისა და წახალისების კოლეგიური განხილვის წესი; ჩატარდა მასშტაბური კვლევა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი მიზეზების შესახებ; თითქმის ყველა რეგიონში დაინერგა ადგილობრივი საბჭოს პროექტი; შემუშავდა და პილოტურად გაიშვა მოქალაქეებთან შეხვედრის ელექტრონული პროგრამა. ყველა ეს განხორციელებული რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოს პროკურატურის ძლიერ, ეფექტიან, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებულ სტრუქტურად ჩამოყალიბებას.

ამის შემდეგ მთავარმა პროკურორმა საბჭოს წარუდგინა დეტალური ანგარიში პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ (იხ. ბმული: http://pc.gov.ge/block/index/465).

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ მთავარ პროკურორს მადლობა გადაუხადა წარმოდგენილი ანგარიშისთვის და კითხვა-პასუხის რეჟიმი გახსნილად გამოაცხადა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრე პირებისთვის საყურადღებოდ აღნიშნა, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ რამდენიმეწლიანმა აქტიურმა მუშაობამ შედეგი გამოიღო და მიმდინარე წელს საქართველო რეიტინგში დაწინაურდა – გადმოინაცვლა პირველ კალათაში, რასაც ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ანგარიში. თუმცა, იქვე ქალბატონმა თეამ დაამატა, რომ, თუ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში სტატისტიკა გასულ წელთან შედარებით არ იქნებოდა გაუმჯობესებული, საქართველო მომავალ წელს კვლავ დაქვეითდებოდა რეიტინგში და გადაინაცვლებდა მეორე კალათაში. ქალბატონმა თეამ დამსწრე პროკურატურის წარმომადგენლებს მოუწოდა, კიდევ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები გაეტარებინათ აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისათვის.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა ადგილობრივი საბჭოების პროექტი; აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში პარიზში დაგეგმილ „ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) მსოფლიო სამიტზე საქართველოს 4-წლიან სამოქმედო გეგმაში შევიდოდა პროკურატურის ინიციატივა ადგილობრივი საბჭოს პროექტის შესახებ. აქვე პროკურატურის წარმომადგენლებს მოუწოდა, მაქსიმალური ყურადღებით მოჰკიდებოდნენ აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას, რადგან „OGP"-ის მხრიდან აუცილებლად განხორციელდებოდა სათანადო მონიტორინგი.

იუსტიციის მინისტრმა საბჭოს წევრებს მიაწოდა შუალედური ინფორმაცია იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მივლენილ ორ პროკურორთან დაკავშირებით; გამოთხოვილია ინფორმაცია ამ ორი პროკურორის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით. წინასწარი ცნობებით, ისინი წარმატებით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და, სავარაუდოდ, გაუგრძელდებათ მივლინება. იქვე ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, დონორი ორგანიზაციების ინტერესს არ იწვევს მსგავსი პროექტები, რათა უფრო მეტმა პროკურორმა შეძლოს კვალიფიკაციის ამაღლება. მისი განცხადებით, აღნიშნული პროექტი კვლავ გაგრძელდება და იმედი გამოთქვა, რომ საპროკურორო საბჭოს წევრი პროკურორებიც ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო მიმდინარე წლის 9-თვიანი სტატისტიკა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შესულ საჩივრებთან დაკავშირებით. 9 თვის მონაცემებით, საჩივრების რეკორდულად დაბალი რაოდენობაა შესული (სულ 16 საჩივარი), რაც ნიშნავს იმას, რომ, წინა წლებთან შედარებით, პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა.

იუსტიციის მინისტრმა შეთავაზებით მიმართა საბჭოს წევრებს – ვინაიდან სახალხო დამცველმა საპროკურორო საბჭოს შექმნის ეტაპზე უარი განცხადა საპროკურორო საბჭოს წევრობაზე, დეკემბრის მეორე ნახევარში მოეწვიათ ომბუდსმენი და მოესმინათ მისთვის, თუ რა პრობლემებს ხედავს პროკურატურის სისტემაში, როგორ წარმოუდგენია პრობლემის გადაჭრის გზები და ამის გათვალისწინებითაც დაგეგმილიყო საქართველოს მთავარი პროკურორის შემდგომი ანგარიში. ქალბატონი თეას განცხადებით, ეს საბჭოს მეტი გახსნილობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. საბჭოს წევრებმა ერთხმად მოიწონეს მოცემული ინიციატივა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა მთავარ პროკურორს. პირველი მათგანი შეეხებოდა მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულ, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" წევრობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს. ბატონი ირაკლი შოთაძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა გახდა დასჯადი და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ არსებული გამამტყუნებელი განაჩენებით კონკრეტული პირები, მკვეთრად შემცირდა საქართველოს ახალგაზრდა მოქალაქეების მიგრაცია მსგავს დაჯგუფებაში ჩართულობის მიზნით.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის სხვა შეკითხვები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვის ვადები; არასრულწლოვანთან ქორწინება და ბოლო დღეებში მომხდარი შემთხვევა ტრანსგენდერი პირის მკვლელობასთან დაკავშრებით.

მთავრმა პროკურორმა სისხლისსამართლებრივი საქმეების სასამართლოებში განხილვის ვადებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას და, ძირითადად, შეეხება არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებს; პრობლემის გამომწვევი მიზეზები, უმეტესწილად, ადმინისტრაციული (სასამართლო შენობები, დარბაზები) და ადამიანური რესურსის (მოსამართლეების) სიმცირით არის გამოწვეული. მისი განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც საქალაქო სასამართლოს განსჯადი საქმეების განსახილველად სააპელაციო სასამართლოს შენობით უსარგებლიათ. ამასთან, პრობლემის მიზეზად ბატონმა ირაკლიმ დაასახელა სისხლის სამართლის საქმეების დიდი ოდენობა.

რაც შეეხება სსკ 140-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებს, კერძოდ კი, არასრულწლოვანთან (16 წლამდე) ქორწინებას, ბატონი ირაკლი განცხადებით, ეს საკითხი საკამოდ პრობლემურია; განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და სასჯელის განსაზღვრა მაშინ, როცა, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი რამდენიმე წლის შექმნილია და რამდენიმე შვილიც ჰყავთ. მსგავსი საქმეების სასამართლოში განსახილველად წარდგენა გამოიწვევს დანაშაულის ჩამდენი პირების (ქმრების) დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნას, რაც შეიძლება გახდეს ოჯახის დანგრევის წინაპირობა. მთავარი პროკურორის განცხადებით, საზოგადოების აზრი სხვადასხვაგვარია. თავად მიაჩნია, რომ პრიორიტეტული უნდა იყოს არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, არამედ დანაშაულის პრევენცია. ამ ეტაპზე პროკურატურის მხრიდან ტარდება აქტიური პრევენციული ღონისძიებები. განსაკუთრებით, ეს შეეხება პრობლემურ რეგიონებს. ბატონმა ირაკლიმ საზოგადოების ყველა წარმომადგენელს მოუწოდა აქტიური მსჯელობისკენ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

ტრასგენდერი პირის მკვლელობასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ ქმედება განხორციელდა გასულ თვეს, მაგრამ მედიამ ის გააშუქა, როგორც ახალი მომხდარი. რამდენიმე კვირა დაზარალებული იმყოფებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. მან ისაუბრა საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზეც. მისი თქმით, ქმედება გამოწვეული იყო პირადი მოტივით. საქმეზე მიმდინარეობს ექსპერტიზა, რათა დადგინდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. როგორც მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, მსგავსი საქმეები პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

ქალბატონი თეა წულუკიანის განცხადებით, ეს არის პრობლემა. საზოგადოებაში არის გარკვეული სტიგმა. ყველამ უნდა გაითავისოს და აქტიურად გატარდეს დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, სირცხვილია, როდესაც

ადამიანის მიმართ იჩენ აგრესიას იმ მოტივით, რომ იგი საკუთარ თავს აღიქვამს სხვა სქესის პიროვნებად; ეს არის ყოვლად მიუღებელი, რადგან, რაკი განსხვავებული ხარ, არ უნდა ნიშნავდეს, რომ ვიღაც თავს დაგესხას და გაგანადგუროს.

შემდეგ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წარმომადგენელს, ქალბატონ ირმა ჭკადუას. ქალბატონი ირმა შეეხო ნარკოდანაშაულთან მიმართებით არსებულ პრობლემებს. მისი განცხადებით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს სსკ 260-ე მუხლი, რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გვევლინებიან როგორც მოწმეებად, ისე ჩხრეკის ჩამტარებლებად. ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არიან მეტ-ნაკლებად დაინტერესებული პირები, ხოლო იმისათვის, რომ სასამართლო პროცესზე მოწმეებად მხოლოდ ისინი არ იყვნენ წარმოდგენილნი და ამგვარად არ დაირღვეს შეჯიბრებითობის პრინციპი, საჭიროა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ჩხრეკის დროს დამსწრე პირთა წრეს გააფართოებს.

ქალბატონმა ირმამ დადებითად შეაფასა ჯარიმების დაკისრების მეთოდი, რადგან, მისი აზრით, გადასახდელი ჯარიმების ოდენობა შესაბამისობაშია ოჯახების ფინანსურ შესაძლებლობასთან.

იგი შეეხო 260-ე მუხლის მე-6 ნაწილსაც და აღნიშნა, რომ ე.წ. კლუბური ნარკოტიკის გარკვეული რაოდენობით გამოყენება გვაძლევს მეექვსე ნაწილის შემადგენლობას, რომელიც საკმაოდ მკაცრია სასანქციო ნაწილის მხრივ და ხშირად ამგვარი ნარკოტიკის მომხმარებლებს პროკურორების მიერ საპროცესო შეთანხმება არ უფორმდებათ. ქალბატონი ირმას თქმით, კლუბური ნარკოტიკის მომხმარებლისადმი მიდგომა შედარებით მსუბუქი უნდა იყოს და ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების საკითხის შესახებ და განაცხადა, რომ სასანქციო ნაწილი ამ შემთხვევაშიც არის საკმაოდ მაღალი.

იგი შეეხო დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის საკითხს. მისი თქმით, ევროკავშირის მხრიდან მონიტორინგის გამო ბრალდების მხარე არ უფორმებს საპროცესო შეთანხმებას ბრალდებულს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაზარალებული მხარე ითხოვს, რომ შეღავათი გაეწიოს მას. ქალბატონმა ირმამ აღნიშნა, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მხარე თანახმაა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყოს საშეღავათო პირობა, ბრალდების მხარის მიდგომა არ უნდა იყოს ამგვარად ცალსახა.

ქალბატონმა ირმამ, ასევე, ისაუბრა პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან პოლიტიკურ საქმიანობაში პირდაპირი ან ირიბი გზით მონაწილეობის საფრთხეების

თაობაზე. მან იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურის თანამშრომლები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მათთვის ხელისშემშლელი არ იქნება ოჯახისა თუ მეგობრების პოლიტიკური დამოკიდებულება.

იგი დამატებით შეეხო სასამართლოში საქმეების განხილვის ვადების საკითხს და ხაზი გაუსვა სასამართლო დარბაზების არასაკმარისი ოდენობის პრობლემას.

„ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა" საპროკურორო საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ 2 თვეში ან 3 თვეში ერთხელ მაინც შეიკრიბოს საბჭოს თუნდაც რამდენიმე წევრი და ჩავიდნენ საინფორმაციო ან სასწავლო შეხვედრების ჩასატარებლად იმ რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს არასრულწლოვნებზე ქორწინებას და ქალზე ძალადობას.

ამ შეთავაზებას გამოეხმაურა რუსთავის რაიონული პროკურორი, ბატონი კონსტანტინე სირაძე და განაცხადა, რომ რუსთავში პროკურორები აქტიურად იწყებენ ზემოაღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებით სკოლებში სასწავლო შეხვედრების ჩატარებას. მისი თქმით, ისინი ამგვარი შეხვედრების ჩატარებას არაქართულენოვან მოსახლეობასთანაც აპირებენ.

ამის შემდეგ ქალბატონმა ირმამ დადებითად შეაფასა პროკურატურის მიერ რამდენიმე საქმეზე გამოძიების დასრულებისა და მათ მიერ სასამართლოსათვის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილებების გადასინჯვის თაობაზე მიმართვის ფაქტები.

მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ, მოსამართლე ვასილ მშვენიერაძემ გააკეთა მცირე კომენტარი - მან დადებითად შეაფასა მთავარი პროკურორის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და მიესალმა მცხეთის რაიონში სტაჟიორ-პროკურორების დანიშვნის ფაქტებს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ პროკურორების და სტაჟიორების პროფესიული მომზადების დონე საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მან ისაუბრა სასამართლო პროცესების გაჭიანურების მიზეზებზეც და აღნიშნა, რომ ძირითადად გაჭიანურება საქმეების დიდი ოდენობითაა გამოწვეული.

საბჭოს წევრი, ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ბატონი სერგო მეთოფიშვილი, დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს განხილული ანგარიშის წინა ანგარიშებთან შედარებით მეტად დახვეწილი და სრულყოფილი სახით წარმოდგენის თაობაზე. ბატონმა სერგომ განსაკუთრებით გამოყო ზაფხულში შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება საპროცესო შეთანხმებას. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროკურორების მხრიდან სასამართლოში შემოკლდა საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობასთან დაკავშირებული ვადები, რის შედეგადაც შეთანხმება უფრო მოკლე დროში მიიღწევა, ვიდრე ეს ადრე იყო. ასევე, მან ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებების საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოზე, რომელიც ეხმარება პროკურორებს საქმიანობაში. ბატონმა სერგომ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა სსკ 140-ე

ab

მუხლთან დაკავშირებულ შემთხვევებზეც და აღნიშნა, რომ შესაძლებელია გამოსავალი ყოფილიყო მუხლის დისპოზიციის შეცვლა, როგორც ეს ადრეულ პერიოდში იყო და თექვსმეტ წელს მიუღწეველი პირის ნაცვლად, ჩაიწერებოდა სქესობრივად მოუმწიფებელი პირი. აღნიშნული წინადადება თავმჯდომარის მხრიდან ვერ იქნა გაზიარებული და აღინიშნა, რომ მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერი იქნებოდა ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, უკან გადადგმული ნაბიჯი.

საქმეების გაჭიანურებასთან დაკავშირებით, ბატონმა სერგო მეთოფიშვილმა, როგორც ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ, საქმეების გადადება, როგორც წესი, ხდება პროცესის ორივე მხარის მოთხოვნით და რომ მკაცრად დაისჯება ნებისმიერი მოსამართლე, თუ გამოვლინდა, რომ მან თავისი ინიციატივით გადადო სასამართლო პროცესი.

მთავარი პროკურორის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით დამატებით კითხვა დასვა ქალბატონმა ირმა ჭკადუამ. მისი შეკითხვა შეეხებოდა ნასამართლევი პოლიტიკური პატიმრების საქმეთა ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე გადასინჯვის საკითხს.

სხდომაზე სიტყვა ითხოვა საბჭოს წევრმა, ბატონმა პოლიკარპე (თემურ) მონიავამ, რომელმაც ისაუბრა საკანონმდებლო ხარვეზებზე, მათ შორის, ყურადღება გაამახვილა საპროცესო ვადების გაჭიანურებასა და გამოძიების პროცესებთან მიმართებით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. მისი შეკითხვაც სწორედ ამას უკავშირდებოდა: ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა თუ არა პროკურატურაში რაიმე მოსამზადებელი სამუშაოები; ხდება თუ არა საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება მთავრობისათვის წარსადგენად. ამასთან, ბატონმა პოლიკარპემ (თემურ) მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნულ პროცესში საბჭოს ჩართვის შემთხვევაში მისი და არასამთავრობო სექტორის მხრიდან სხვადასხვა საჭირო რეკომენდაციების მიწოდებასთან დაკავშირებით. მან პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ ანგარიში დადებითად შეაფასა.

ბატონი პოლიკარპეს (თემურ) მეორე შეკითხვა შეეხებოდა პროკურატურის საქმიანობის კანონიერების შიდა კონტროლს; კერძოდ, პროკურატურის ცენტრალური აპარატის მხრიდან ქვემდგომი პროკურორების გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლა თუ ხდება; ასევე, გაუქმებულია თუ არა ასეთი რეაგირების შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საპროცესო ვადებთან დაკავშირებით დამატებით კომენტარი გააკეთა ქალბატონმა თეა წულუკიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ სწორედ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, 2014 წელს დაწესდა 2 წლიანი შეზღუდვა არასაპატიმრო საქმეებზე. ამ ეტაპზე სასამართლოში არსებული საქმეების დიდი

ოდენობიდან გამომდინარე, აღნიშნული ვადის კიდევ უფრო მეტად შემცირება არამიზანშეწონილი იქნება. თუმცა, აქვე დაამატა, რომ სამომავლოდ ვადის შემცირება აუცილებელი იქნება, რადგან დაწესებული 2 წელი საკამოდ დიდ ვადას წარმოადგენს, არ შეიძლება წლების განმავლობაში პირი იყოს გაურკვევლობაში და ელოდოს თავისი სისხლის სამართლებრივი სტატუსის საბოლოოდ განსაზღვრას.

დასმული კითხვების შემდეგ მთავარი პროკურორი პასუხების რეჟიმზე გადავიდა. მან ყურადღება გაამახვილა სსკ 260-ე მუხლზე და ნარკოტიკული საშუალებების ე.წ. ჩადების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით დამსწრე პირთა წრის გაფართოების შესაძლებლობაზე. მისი განცხადებით, ჩხრეკის დამსწრე პირების არსებობის შემთხვევაში, დანაშაულის საგნის ჩადების თაობაზე სპეკულირება ალბათ არასოდეს შეწყდება. მთავარია სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოს მხრიდან გამოძიებულ იქნეს მსგავსი ფაქტები, მოხდეს სპეკულაციების რეალობისაგან გამიჯვნა და სათანადო რეაგირება, რასაც დღეს ისედაც ახორციელებს პროკურატურა სასამართლოსთან ერთად; თუმცა, მთავარმა პროკურორმა არ გამორიცხა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სხვა საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად.

სს კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის სიმძიმესთან დაკავშირებით, ბატონმა ირკალიმ განაცხადა, რომ საკითხი აშკარად საჭიროებდა მსჯელობას, გონივრული იქნება, თუ ამ ნაწილშიც გამსაღებელსა და მომხმარებელს შორის მიჯნა გაევლება. ამასთან, დააფიქსირა პირადი მოსაზრება, რომ ნარკოტიკული ნივთიერებათა ნუსხაში ბევრი ნარკოტიკული საშუალების ოდენობის გადახედვა უნდა განხორციელდეს.

მთავარი პროკურორი გამოეხმაურა ბატონი პოლიკარპე (თემურ) მონიავას მიერ დასმულ საკითხს საკანონმდებლო ხარვეზებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, საქართველოს პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო ერთობლივად მუშაობს სისხლის სამართალის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ამ მიზნით პროკურატურაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსა და სხვა უწყებებთან. აქვე ბატონმა ირაკლიმ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით გათვალისწინებულ სანქციებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა, სამომავლოდ სასჯელის დანაშაულთან ან საპროცესო შეთანხმებასთან შეუსაბამობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

ბატონი ირაკლი შოთაძე შეეხო სისხლის სამართალის კოდექსის 117-ე მუხლსაც (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). მისი მოსაზრებით, სანქციის დამძიმებასთან მიმართებით საქართველოს პროკურატურის პოლიტიკა არის ერთადერთი პრევენციის საშუალება და გამართლებულია საქართველოში არსებული პრაქტიკიდან და

მენტალიტეტიდან გამომდინარე. ასევე, მან ისაუბრა დისკრიმინაციულ დანაშაულებთან მიმართებით სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრებაზე და აქტიურ პრევენციულ ღონისძიებებზე. დისკრიმინაციის ჩამდენ პირთა მიმართ, თუ სახეზე არ არის მძიმე შედეგი, სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, ასევე, თუ პირი ნასამართლევი არ ყოფილა და არც დანაშაულთა ერთობლიობას აქვს ადგილი, გამოიყენება პირობითი მსჯავრი.

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ისაუბრა ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე 2012 წელს პოლიტიკურ პატიმრებად ცნობილ პირთა საქმეების გამოძიების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროკურატურა ამ კუთხით მუშაობს ყოველგვარი უსამართლო პრიორიტეტების და მიკერძოების გარეშე. ბატონი ირაკლის თქმით, ამ პროცესების დროში გახანგრძლივების ფაქტს განაპირობებს სხვადასხვა ობიექტური გარემოება, მათ შორის არასაკმარისი ადამიანური რესურსი.

ქალბატონმა ირმა ჭკადუამ რეკომენდაციით მიმართა ბატონ ირაკლის ზემოხსენებულ პოლიტიკურ პატიმრებთან შეხვედრის თაობაზე, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, თავადვე წარმოადგინონ მოწმეები და მტკიცებულებები, რაც პროკურატურასაც დაეხმარება დროის და რესურსების ეკონომიაში. მან, ასევე, გამოხატა მზაობა ამ საკითხის ორგანიზებაში დახმარებასთან დაკავშირებით.

ქალბატონი ირმას პასუხად მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ სწორედ მოქალაქეებთან პროკურორთა შეხვედრის შესაძლებლობას, საგამოძიებო მოქმედებათა მოქნილობას, დროის ეკონომიურ განაწილებას და რესურსების გონივრულ მოხმარებას ემსახურება საქართველოს პროკურატურის სამოქმედოდ შემუშავებული პროგრამა. ბატონმა ირაკლიმ ისაუბრა პროკურატურის საქმიანობის ხარისხის შემფასებელ დეპარტამენტზე, რომელიც ყოველთვიურად ამოწმებს საქმისწარმოებას. მათი ანალიზების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და ბრძანებები. პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტია მისი საქმიანობის ხარისხის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურ შესაბამისობაში მოსაყვანად. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად ყოველდღიურად მიმდინარეობს პროკურატურაში დასაქმებულ პირთა ტრენინგები.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა მთავარ პროკურორს და საბჭოს თითოეულ წევრს. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პროკურატურისადმი ხალხის ნდობის ამაღლების მიზანსა და კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების დამუშავებაზე. ის შეეხო როგორც ირიბი ჩვენების შესახებ კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს, ისე სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის საჭიროებას, ვინაიდან სანქცია უნდა იყოს გონივრული და პროპორციული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულისა.. საბჭოს თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ მარიხუანასთან დაკავშირებული, სამინისტროს მიერ მომზადებული

კანონპროექტების პაკეტი გადაეცა სასამართლოს და შესაბამისი შენიშვნების შემდეგ ინიციატივა წარედგინება პარლამენტს არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე: თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ანა კალანდაძე

გიორგი გაბოძე

კონსტანტინე სირაძე

გიგა ძნელაძე

ანზორ უსტიაძე

მამუკა ფიფია

გოჩა ფარულავა

ნათია სონღულაშვილი

ვასილ მშვენიერაძე

სერგო მეთოფიშვილი

პოლიკარპე (თემურ) მონიავა

ირმა ჭკადუა